გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 971

უშიშროების საბჭო,
ადასტურებს რა თავის 1993 წლის 9 ივლისის 849, 1993 წლის 6 აგვისტოს 854, 1993 წლის 24 აგვისტოს 858, 1993 წლის 19 ოქტომბრის 876, 1993 წლის 4 ნოემნბრის 881, 1993 წლის 22 დეკემბრის 892 და 1994 წლის 31 იანვრის 896 და 1994 წლის 4 მარტის 901, 1994 წლის 25 მარტის 906-ე, 1994 წლის 30 ივნისის 934 და 1994 წლის 21 ივლისის რეზოლუციებს,
განიხილა რა გენერალური მდივნის 1995 წლის 6 იანვრის მოხსენება (S/1995/10 და add 1 და 2), კვლავ ადასტურებს რა თავის ერთგულებას საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი და ამ კონტექსტით ეყრდნობა რა უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის 1994 წლის 2 დეკემბრის (S/PSRT/1994/781) განცხადებას,

კვლავ ადასტურებს რა, აგრეთვე, ყველა ლტოლვილის და ადგილნაცვალი პირის, რომელთაც კონფლიქტი შეეხო, უფლებას დაბრუნდნენ თავიანთ სახლებში უსაფრთხოების პირობებში საერთაშორისო სამართლისა და ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა ნებაყოფილებითი დაბრუნების შესახებ (S/1994/397, add 1) 1994 წლის 4 აპრილს მოსკოვში ხელმოწერილი ოთხმხრივი შეთანხმების დებულებათა შესაბამისად, დაბეჯითებით მოუწოდებს მხარეებს თავი შეიკავონ ნებისმიერი ცალმხრივი მოქმედებისაგან, რომელთაც შეუძლიათ გაართულონ ან ჩაშალონ პოლიტიკური პროცესი, რომელიც მიმართულია კონფლიქტის უსწრაფესი და ყოვლისმომცველი მოწესრიგებისკენ,

არის ღრმად შეშფოთებული ყოვლისმომცველი პოლიტიკურ მოწესრიგებაში პროგრესის არარსებობით, და აგრეთვე ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა დაბრუნების ნელი ტემპებით, მოუწოდებს მხარეებს გააქტიურონ ძალისხმევა, გაეროს ეგიდით და რუსეთის ფედერაციის, როგორც ხელშემწყობი მხარის, დახმარებით, და ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის წარმომადგენელთა მონაწილეობით, კონფლიქტის უსწრაფესი და ყოვლისმომცველი პოლიტიკური მოწესრიგების მიზნით, აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის საკითხის ჩათვლით, საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის სრული პატივისცემით.
გამოხატავს რა თავის კმაყოფილებას საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიასა და დსთ-ის სამშვიდობო ძალებს შორის მჭიდრო თანამშრომლობისა და კოორდინაციის გამო მათი შესაბამისი მანდატების განხორციელებაში,

დიდად აფასებს რა დსთ-ს სამშვიდობო ძალებისა და საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიის წვლილს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში ცეცხლის შეწყვეტისა და მდგომარეობის სტაბილიზაციაში,

1. მიესალმება გენერალური მდივნის 1995 წლის 6 იანვრის მოხსენებას.

2. ადგენს გაუგრძელოს მანდატი საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიას, როგორც გადმოცემულია მის 937 (1994 წ.) რეზოლუციაში, დამატებითი პერიოდით, რომელიც დამთავრ-დება 1995 წლის 15 მაისს.

3. სთხოვს გენერალურ მდივანს ამ რეზოლუციის მიღებიდან ორი თვის ვადაში წარმოადგინოს მოხსენება აფხაზეთში, საქართველოს რესპუბლიკა, სიტუაციის ყველა ასპექტის შესახებ.

4. სთავაზობს გენერალურ მდივანს გააგრძელოს კონფლიქტის ყოვლისმომცველი პოლიტიკური მოწესრიგების მიღწევისაკენ მიმართული თავისი ძალისხმევა, აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის შესახებ საკითხის ჩათვლით, საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი სრული პატივისცემით და მოუწოდებს მხარეებს მიაღწიონ მოლაპარაკებებზე არსებით პროგრესს გაეროს ეგიდით და რუსეთის ფედერაციის, როგორც ხელშემწყობი მხარის, დახმარებით და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის წარმომად-გენელთა მონაწილეობით.

5. მოუწოდებს მხარეებს დაიცვან ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა დაბრუნების მიმართ თავიანთი ვალდებულებანი, მიღებული ოთხმხრივი შეთანხმებით და, კერძოდ, მოუწოდებს აფხაზეთის მხარეს არსებითად დააჩქაროს ეს პროცესი.

6. ადგენს, ჩაატაროს სიტუაციის ყოველმხრივი მიმოხილვა გენერალური მდივნის იმ მოხსენების საფუძველზე, რომელიც წარმოდგენილი იქნება 1995 წლის 4 მაისს და ნებისმიერი პროგრესის შუქზე, რომელიც მიღწეულ იქნება პოლიტიკური მოწესრიგებისა და ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა აფხაზეთში, საქართველოს რესპუბლიკა, დაბრუნების მიმართულებით.

7. სთხოვს აგრეთვე გენერალურ მდივანს შეისწავლოს, საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიის არსებული მანდატის ჩარჩოებში, დსთ-ის სამშვიდობო ძალთა შესაბამის წარმომადგენლებთან თანამშრომლობით, დამატებით ღონისძიებათა მიღების შესაძლებლობა იმ პირობების შექმნის ხელშეწყობის მიზნით, რომლებიც ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა უსაფრთხო და მოწესრიგებულ დაბრუნებას შეუწყობს ხელს.

8. კვლავ მიმართავს წევრ-სახელმწიფოებს მოწოდებით შეიტანონ საწევრო ნებაყოფილობითი შენატანების ფონდში ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორიშორების შესახებ 1994 წლის 14 მაისს მოსკოვში ხელმოწერილი შეთანხმების (S/1994/583) და/ან ჰუმანიტარული ასპექტების, მათ შორის განაღმვის მხარდასაჭერად, როგორც განსაზღვრავენ დონორები.

9. ადგენს გააგრძელოს აქტიური მუშაობა ამ საკითხებზე.

12 იანვარი, 1995